საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 08 ოქტომბერი , 2012 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 7

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,5. სწავლების მეორე წლიდან სტუდენტს უფლება აქვს ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა, თუ პროგრამაზე არსებობს ვაკანსია და ათვისებულ და ასათვისებელ პროგრამებს შორის სხვაობა (შეცვლის ეტაპზე) სასწავლო წლისათვის არ აღემატება 15 კრედიტს, ძირითად საგანამანათლებლო პროგრამასთან ერთად კი 75 კრედიტს. პროგრამაზე სწავლის ეტაპი განისაზღვრება ,,სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის" შესაბამისად.

2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-3 მუხლს დაემატოს მე-5^1 პუნქტი:

,,5^1. პროგრამის გაუქმების შეთხვევაში უნივერსიტეტი სტუდენტს თავაზობს ალტერნატიულ პროგრამას გავლილი პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარების პირობით, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ,,სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის" ან პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად"

3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,2. სტუდენტის სასწავლო საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესრულებული სამუშაოს მოცულობას გამოხატულს დროის ერტთულში - საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე საშემსრულებლო მიმართულებით არა უმეტეს 15 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო, თეორიული მიმართულებით არაუმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდბელი სამუშაო (ცალკეულ სპეციალობათა სპეციფიკადან გამომდინარე, დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდბელი საათების განსხვავებული თანაფარდობა).“

4. ამოღებულ იქნას ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-5 მუხლის მე-2^1, 2^2, 2^3 და მე-3 პუნქტები.

5. დადგენილებით იხელმძღვანელონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, შესაბამისმა ფაკულტეტებმა და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა.

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**